წერილის ნომერი:**03-124240156**
თარიღი: **15/01/2024**

ადრესატი:

დევი დევიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ინფრასტრუქტურის განყოფილება

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე განხორციელდა ბაზრის კვლევები და გამოცხადდა ელ.ტენდერები :

1. ქ. თეთრიწყაროში, რუსთაველის ქუჩა N2-ში მდებარე, არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიშენებული კონსტრუქციის დემონტაჟის, ახალი მიშენებისა და გადახურვის მოწყობის სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

2. სოფელ მარაბდასთან არსებული 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალის შიდა მისასვლელი გზების, ბილიკებისა და კიბეების რეაბილიტაცია და მემორიალთან მისასვლელი ცენტრალური გზისა და საპარკინგე სივრცის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

3. ქ. თეთრიწყაროში მშვიდობის ქუჩა N4-ში მდებარე N1 საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის და სოფელ ასურეთში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო/ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის ი.გ.პ.-ს დასახლებასთან დამაკავშირებელი 300 მეტრიანი გზის სარეაბილიტაციო, სოფელ კოდაში სასაფლაოსკენ მიმავალი ცენტრალური 550 მეტრიანი შიდა გზის სარეაბილიტაციო და სოფელ მუხათში წყაროსთან მისასვლელი 90 მეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათის საჭირო საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შეხვეტილის ადმინისტრაციულ ერთეულში "მახგლისი-არხოტი"-ს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე (ე.წ."ნეფტიანიკი:-ს ხევზე) ერთმალიანი საავტომობილო ხიდის და ერთმალიანი ავტოგზის ხიდების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ამლივის აგარაკებზე შიდა 0.26 კმ.გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

8. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილში არსებული სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

9. სოფელ ჩხიკვთაში არსებული სარიტუალო დარბაზის დაზიანებული სახურავის ახალი კონსტრუქციის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

10. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლის შენობის (სახურავის ნაწილობრივი შეკეთება და გათბობის სისტემის რეაბილიტაცია)

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

11. ქ. თეთრიწყაროში გიორგი ბრწყინვალის N16 და დემეტრე თავდადებულის ქ.N16 შორის არსებულ მონაკვეთზე (90 გრძ/მ), ჯავახიშვილის ქუჩაზე (520 გრძ/მ) და მუსხელიშვილის ქუჩაზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ) (150 გრძ/მ) სანიაღვრე არხის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

12. ქ. თეთრიწყაროში და სოფელ ასურეთში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

13. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილში არსებული სანიაღვრე არხის, ბრტყელი რკინაბეტონის ფილებით გადახურვის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

14. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო/ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

15. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის "თბილისი (პანტიანი)-მანგლისი" საავტომობილო გზიდან სოფელ დიდგორში სკოლასთან მისასვლელი 1.7 კმ სიგრძის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

16. ქ. თეთრიწყაროში, კოსტავას ქ.N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციისა და შენობის სარინელისა და ეზოს საყრდენი კედლის მოწყობის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო/ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

17. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში მე-3 ქუჩის (სკოლიდან სასაფლაომდე-1.06 კმ) და მე-2 ქუჩის (700მ) რეაბილიტაციის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში, გიორგი და ნოდარ ბადალაშვილის ქუჩის 700 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზირბითში, ახალსპფელში და გოხნარში მისასვლელი გზის 900 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

18. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის ადმინისტრაციულ ერთეულში "თეთრიწყაროს-სამღერეთის"-ს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-15 კმ-ზე მდ. "ასლანკაზე", (პკ 14+66.41), არსებული მილხიდის დემონტაჟისა და ახალი ერთმალიანი საავტომობილო ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე განხორციელდა:

გზის პროექტები-16

სკვერების პროექტები-14

გარე განათების პროექტები-15

ამბულატორიების პროექტები-4

წყლების პროექტები-22

სასაფლაოს შემოღობვის პროექტები-6

მოსაცდელის მოწყობის პროექტი-1

2023 წელს ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის და მშენებლობის განყოფილების მიერ შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

1. მომზადდა და გაიცა მიწის სამშენებლოდ გამოყენების 90 პირობა;

2. მომზადდა და გაიცა მშენებლობის 135 ნებართვა;

3. ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 30 დასრულებული სხვადასხვა შენობა-ნაგებობა;

4. გაიცა მიწის ნაკვეთების დაყოფა-გაერთიანების 200 თანხმობა;

5. დაკორექტირდა 8 საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაცია;

6. შეთანხმდა 200 პირველი კლასის მშენებლობა.

ამასთანავე, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური 2023 წლებში ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობდა, ინფრასტრუქტურის კუთხით, საქართველოს მთავრობის, სამინისტროების, სამხარეო ადმინისტრაციის დავალებებზე, სხვადასხვა უწყებებიდან, იურიდიული/ან ფიზიკური პირებისგან შემოსულ წერილებზე და განცხადებებზე, მუნიციპალიტეტის მერის სხვა დავალებების შესრულებაზე.

ვახტანგ გაგუა

ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური-სამსახურის უფროსი